

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი
მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2018წ.
“31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 12

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

1000 (ათასი) ლარი

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი 1000 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ფენილკეტონურია – მძიმე მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ნერვული სისტემისა და სხვა შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებით. დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დაკვირვებასა და მკურნალობას სამედიცინო გენეტიკურ ცენტრებში და სპეციალურ დიეტას უცილო საკვები პროდუქტებით. 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში მარაგდებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევეებით, რომელიც ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დამატებითი სოციალური დახმარების მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ბენეფიციართა დიალიზის განხორციელების ხელშეწყობა	ფენილკეტონურიით დაავადებული პირის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება
2	ჯანმრთელობის გაუარესების რისკის შემცირება	მაყოფილების დონის განსაზღვრა

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	მომსახურების გაწევა			X									

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით დახმარება საწყის ეტაპზე გაეწევა ფენილკეტონურიით დაავადებულ ერთ პირს, რომელიც ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარების ჩართვა მოხდება წლის განმავლობაში

11. პროგრამის ბიუჯეტი

ბ) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი	1000			1000
	დამატებითი					
	სულ					

ა) ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით
ბ)

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთჯერადი დახმარების მოცულობა (ლარი)	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	ფენილკეტონურიით დაავადებულის მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	1	1000	1000
სულ ჯამი					1000

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. მშობლის (მეურვის) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლის (მეურვის) პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა № IV-100/ა.
5. მშობლის (მეურვის) საბანკო რეკვიზიტები.

დაფინანსება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე.